

მემარჯვენე პოპულიზმის ევროპეიზაცია მიგრაციული კრიზისის ფონზე
ევროკავშირში

შოთა გედენიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება(საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით აფრასიძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2019

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”.

შოთა გედენიძე

26/06/2019

აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომი იკვლევს მემარჯვენე პოპულისტების თანამშრომლობას ევროპულ დონეზე და ევროპეიზაციის როლს ამ პროცესებში. თანამედროვე ეტაპზე მემარჯვენე პოპულისტური პარტიების გააქტიურება ეროვნულ და საერთო ევროპულ დონეზე განსაკუთრებით შეინიშნება. ნაშრომში განხილულია ევროპეიზაციისა და პოპულიზმის ფენომენები და მათი განვითარების პროცესები დღეს. გარდა ამისა, ნაშრომი აანალიზებს მიგრაციული კრიზისის ფონისა და გარე აქტორის, კერძოდ რუსეთის როლს პოპულისტური ძალების მხარდამჭერთა ზრდაში.

ნაშრომის ძირითადი მიზანია იმ ფაქტორების გამოკვლევა, რაც იწვევს მემარჯვენე პოპულისტური პარტიების თანამშრომლობას ევროპულ დონეზე. მიგრაციული კრიზისის ფონი და გარე აქტორების როლი გამოყენებულია, რათა უფრო ნათლად გამოიკვეთოს ამ ფაქტორების მუშაობის მექანიზმი.

ნაშრომი კვლევის თვისებრივ მეთოდებს იყენებს. შესწავლილია აკადემიური ნაშრომები, გაანალიზებულია ემპირიული მონაცემები და ასევე არაერთი პირველადი წყარო, კერძოდ ევროპარლამენტის არჩევნების შედეგები სხვადასხვა წლებში.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მართალია მემარჯვენე პოპულისტები უპირატესობას ეროვნულ დღის წესრიგს ანიჭებენ და დიდწილად ევროსკეპტიკოსები არიან, მაგრამ მაინც თანამშრომლობენ ევროპულ დონეზე და გარკვეული სახით ევროპეიზაციაც განიცადეს. მიგრაციულმა კრიზისმა და რუსეთის ჩართულობამ ამ პროცესებში ხელშემწყობი როლი შეასრულა.

აღნიშნული კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, რადგან მოიცავს ქართულ სამეცნიერო სივრცეში ნაკლებად შესწავლილი საკითხისა და ამავე დროს ევროკავშირის 2019 წლის არჩევნების შედეგების კომპლექსურ ანალიზს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მემარჯვენე პოპულიზმი; ევროპეიზაცია; ევროპის პარლამენტი; მიგრაცია; პოლიტიკური პარტიები; რუსეთი.

Abstract

The presented research studies right-wing populists cooperation at European level and role of Europeanisation in this processes. The right-wing populist parties are actively focusing mostly on national issues. However, there is also a cooperation on the European level.

This paper examines phenomenon of Populism and Europeanization, and their evolution nowadays. In addition, the thesis analyzes the role of the migration crisis and external actors, in particular Russia in the growth of populist forces in Europe.

The main goal of the thesis is to outline and study factors that lead to the right-wing populist parties' cooperation at the European level.

The paper uses qualitative methods of research. The desk research covers academic works, while empirical data and many primary sources, particularly the results of the European Parliament elections in different years are also analyzed.

Based on research findings we make following conclusions: the rise of right-wing populists is exacerbated by the migration crisis and involvement of external power Russia; the right-wing parties pursue the national agenda and are largely Eurosceptic, however they use opportunities created by common European structures and cooperate at European level and therefore, in some ways they are Europeanized.

The results of this study are important since there are very few studies available in Georgian.

Keywords: Right-Wing Populism; Europeanization; European Parliament; Migration; Political Parties; Russia.

მადლობა

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო, ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს, პროფ. დავით აფრასიძეს გაწეული მნიშვნელოვანი დახმარებისთვის. ასევე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს ვინც მნიშვნელოვანი რჩევები მომცა წინამდებარე ნაშრომის მომზადების პროცესში.